Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

საქართველო

№ 49 (126) გამოც. მე-3 წელი | ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი | ბერლინი, 11 დეკემბერი, 1944 წ.

შეუპოვარი წინააღმდეგობა

მრავალრიცხოვანი გამოსვლები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მკვეთრად მოისმის მოწინააღმდეგის ბანაკიდან, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ უკანასკნელ ხანებში გაძლიერებული გერმანული თავდაცვა, რომელიც არსებითად წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ომის გადამწყვეტ პირობას, გერმანიისა და ახალი ევროპის მტერთა ბანაკში უღრესად გამაღიზიანებელ გრძნობებს იწვევს.

ის დიდი პატრიოტული გრძნობა, სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარული და თავდადება, რომელიც დამახასიათებელია თვითეული გერმანელი ჯარისკაცისათვის, აიძულებს ინგლის-ამერიკელებს ფიმართონ მათს განკარგულებაში არსებულ ყოველგვარ საშუალებას, მაგრამ ამაოდ, ისინი ვერ აღწევენ სულ უბრალო უპირატესობასაც კი. მტერი ფიქრობდა, რომ საფრანგეთში აღებული ტემპით რაინის ცენტრს მიაღწევდა, მაგრამ ისე, როგორც ყოველთვის, ანგარიშში მწარედ მოსტყუვდა. ზიგფრიდის ხაზის მოწინავე პოზიციები, სადაც უკვე რამოდენიმე თვეა მიწას სტკეპნის ინგლის-ამერიკელთა 60 დივიზია, მტრისათვის ისეთ ბასტიონად გადაიქცა, რომლის გადმოლახვა მან ვერაფრით ვერ შესძლო. ეხლა მტერიც დარწმუნდა იმაში, რომ დასავლეთის ფრონტი მას კიდევ ბევრ ახალ სურპრიზს უმზადებს... მეცი და აახენი, ჩერჩილ-რუზველტის მიერ დაჭირავებული ჯარების სამარედ გადაიქცევა და გერმანული იარაღის იერიშზე გადასვლის ქვაკუთხედი გახდება. ყოველივე ეს, გვიან, მაგრამ მაინც დაინახეს მტრის ბანაკში, სწორედ ამიტომ იყო, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრი იძულებული გახდა მორიგი „სიტყვით“ გამოსულიყო თემთა პალატაში და თავისი შეცდომები ეღიარებინა. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ჩერჩილის სიტყვის მოკლე შინაარს, სადაც ის, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთხელ კიდევ აგრძელებს ომის დამთავრების ვადას და აცხადებს, რომ ომი 1945 წლის ზაფხულზე დამთავრდებაო. ეს ის ჩერჩილი გახლავთ, რომელიც რუზველტთან შეთანხმებით, მიმდინარე წლის ოქტომბერში, ომს ავანსად დამთავრებულად სთვლიდა, გერმანიაში ტრიუმფალური მსვლელობისათვის ემზადებოდა და ინგლისის ხალხს მშვიდობიანი ზამთარი დაჰპირდა. მაგრამ გერმანიის არმია, ფიურერის მიერ მოწოდებული სახალხო ფრონტი და ახალი ევროპის აშენებით დაინტერესებული ყველა ერის შეიარაღებული ძალები არ მისცემენ მას საშუალებას, კაცობრიობის კულტურის ცენტრს — ევროპას დააწიოს ის, რაც მან საფრანგეთსა და ბელგიას გაუკეთა.

ისე, როგორც დასავლეთში, აღმოსავლეთშიც — სტალინის იმპერიალისტურ-დამპყრობითი ლაშქრობის წინააღმდეგ, გერმანელი გრენადერები მედგრად იბრძვიან და წითელი არმიის მრავალრიცხოვან შემოტევებს ძლიერი კონტრდარტყმებით უპასუხებენ. იტალიის ფრონტზე გენერალი ალექსანდერი ხრინწიანი ხმით მოსთქვამს: რა ვქნა, გერმანელები ისე მტკიცედ არიან გამაგრებული მთაგორიან ადგილებში, რომ მათი იქიდან დაძვრა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვახერხეო. ჭეშმარიტად დიდია ის ენერგია და გამძლეობა, რომლითაც გერმანელი ჯარისკაცები ებრძვიან მოზღვავებულ მტერს.

ქართველი მოხალისეები, უცქერით რა გერმანელების ასეთ მტკიცე და ურყევ ბრძოლას, ვინთებით მტრისადმი შურისძიების ცეცხლით და მზადა ვართ საქართველოს განთავისუფლების საქმეს მთელი ჩვენი სიცოცხლე შევწიროთ.

ჩვენ, ქართველი მოხალისეები ვამაყობთ იმით, რომ გერმანიის არმიის ამ გრანდიოზულ თავდაცვითს ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობთ და ჩვენი ლეგიონის ისტორიაში არაერთი და ორი საგმირო საქმეა ჩაწერილი. ქართველ მოხალისის მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში თავისი უკვდავი წვლილი შეაქვს და ამით კულტურულ კაცობრიობას და მის მომავალს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს.



ჩრდილოეთ ზღვაში მოქმედი გერმანიის საზღვაო და საჰაერო ძალების უფროსი ადმირალი ტროთა ესაუბრება მაიორ ერლერს თვითმფრინავ „მე-109“-ს შესახებ.

ფიურერის დეპეში დოქტორ ლეის

ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციის „ძალა სიხარულშიას“ წლისთავის შესრულების გამო, მისმა დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა დოქტორმა ლეიმ შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა ადოლფ ჰიტლერს:

„ჩემო ფიურერო, ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციის „ძალა სიხარულშიას“ წლისთავის აღსანიშნავ დღესთან დაკავშირებით მოგახსენებთ თქვენ, რომ გერმანელი მუშების მილიონები სამხედრო წარმოებებში აღსავსენი არიან მტკიცე რწმენით და მთელი თავისი ძალების დაჭიმვით თვიდან თვემდე ადიდებენ გამომუშავებას სამხედრო შეიარაღების საჭიროებებისათვის.

მტრის ტერორისტული თავდასხმებითა და სხვა მოქმედებებით გამოწვეული შეფერხებანი დაუყოვნებლივ სწორდება საკუთარი საშუალებებითა და შეუდრეკელი ენერგიით. ასეთ მძიმე შრომას გერმანელი მუშა ეწევა თავისი სოციალური მომავლის სრული შეგნებით. თქვენ, ჩემო ფიურერო, თქვენი ერთგული მუშებისათვის წარმოადგენთ საუკეთესო გარანტს იმისათვის, რომ მათ სწამდეთ ეს მომავალი.

ფიურერის საპასუხო დეპეში დოქტორი ლეისადმი ერთდროულად წარმოადგენს მიმართვას ყველა გერმანელი მშრომელისადმი, რომელნიც იმყოფებიან ფრონტზე და სამშობლოში და თავისი შეურყეველი ნებისყოფით იბრძვიან საბოლოო გამარჯვების მისაღწევად. დეპეშის შინაარსი შემდეგია:

„ძალა სიხარულშიას“ წლისთავთან დაკავშირებით გამოგზავნილმა დეპეშამ, რომელშიც გამოთქმული იყო გერმანელი მუშების ერთგულების შესახებ, გამოიწვია ჩემში ღრმა კმაყოფილების გრძნობა. ჩემთვის ცნობილია ის მძიმე პირობები, რომელშიც მიმდინარეობს ეხლა მუშაობა სამხედრო წარმოებებში. იგი შესაძლებელია მხოლოდ გერმანელი მუშების მამაცობისა და სიმტკიცის შედეგად.

ომმა, რომელიც დაიწყეს ჩვენმა მტრებმა, მკვეთრად შესწყვიტა გერმანელი ერის კულტურული და სოციალური აღმავლობა. ამ ომის დამთავრების შემდეგ, რომელიც ჩვენ ბედმა გვარგუნა, თანამიმდევრულად შევუდგებით სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის დამთავრებას. ჩვენი სოციალისტური მომავლისათვის იქნება გაღებული ყოველივე მსხვერპლი, მისკენ იქნება მიმართული ჩვენი ყველა ძალები.

ადოლფ ჰიტლერი“.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ამ რამოდენიმე დღის წინათ თემთა პალატაში მორიგი სიტყვით გამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი. როგორც ადამიანი, რომელმაც თავის წინასწარმეტყველებაში მრავალი მარცხი განიცადა, ამჯერად იგი შეეცადა მიეცა განმარტება თემთა პალატის წევრებისათვის, ომის დამთავრების ეგრეთწოდებული „ვადის“ შესახებ. ჩერჩილმა აუხსნა მათ, რომ „ვადის ყოველგვარი აღნიშვნა მხოლოდ პირობითია და არა ბუცილებელი“. მიუხედავად ამისა, მან, როგორც ძველმა მატყუარამ, ერთხელ კიდევ დაჰპირდა თემთა პალატას, რომ მიმდინარე ომი მომავალი წლის ზაფხულზე დამთავრდებაო. დარწმუნებული იყო რა თემთა პალატის წევრების სუსტ მეხსიერებაში ჩერჩილმა, ასე ვსთქვათ, გააგრძელა მის მიერ დანიშნული ვადა ომის დამთავრების შესახებ. თუ თემთა პალატის გადაბერებულ წევრებს ეს არ ახსოვთ, ჩვენ კარგად ვიგონებთ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, რომ ის ამ ომს 1944 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაამთავრებდა. მაგრამ, ამის მაგივრად, რომელიც რა თქმა უნდა, სრულიად არ არის ჩერჩილის განკარგულებაში, ის აფრთხილებს პალატის წევრებს შემდეგი სიტყვებით: „ნუ მიეცემით ფანტაზიას თითქოს ჩვენ შესაძლებლობა გვქონდეს მივაპყროთ ყურადღება კაცობრიობის ისტორიის ახალ ფაზას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებით დაიწყება. ერთადერთი სიმართლე, — განაცხადა შემდეგ ჩერჩილმა, — ის არის, რომ დღეს არავინ არ იცის, თუ როდის დამთავრდება ომი გერმანიასთან და სანამდე გაგრძელდება იგი იაპონიასთან“.

შემდეგ ჩერჩილი უხატავს თემთა პალატას დასავლეთის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას და ქებადიდებით იხსენიებს მათ, ვინც ინგლისის სასარგებლოთ ღვრის სისხლს. ის აშკარად აღიარებს, რომ „ჩვენ ვერ შევსძელით გერმანიის მოგერიების ხაზის ფართო ფრონტით გარღვევა, რომელსაც ალბად ექნებოდა სერიოზული სტრატეგიული მნიშვნელობა. ჩვენ ვერ შევსძელით აგრეთვე სიმაგრეების აშენება. ბრძოლა გრძელდება ზეადამიანური დაძაბულობით“. შემდეგ ჩერჩილმა ილაპარაკა იმ ბუნებრივ დაბრკოლებათა შესახებ, რომელიც ინგლის-ამერიკელების ჯარებს დასავლეთის ფრონტზე წინ გადაეღობა და აღნიშნა, რომ: მხოლოდ ერთ ბრძოლაში — ვალხერენთან ჩვენ და კანადელებმა 40.000 ჯარისკაცი დავკარგეთო.

სხვა რაიმე ცნობების მიცემა ჩერჩილმა არ მოისურვა. ყველაზე კარგად მან გააკეთა ის, რომ ურჩია პალატის წევრებს „ომს თვალი აარიდეთო“. ჭეშმარიტად საუკეთესო „რჩევებს“ აძლევს პრემიერ-მინისტრი თავის ხალხს.

არეულობა უკრაინაში

უკანასკნელ ხანებში საზღვარგარეთულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობები უკრაინაში წითელი არმიის აჯანყების შესახებ, რომელსაც თითქოს მარშალი ტიმოშენკო ხელმძღვანელობს.

30 ნოემბერს ბუდაპეშტიდან მიღებული დეპეშის თანახმად ცხადი შეიქნა, რომ სტალინური რეჟიმის წინააღმდეგ პარტიზანულმა მოძრაობამ უკრაინაში მართლაც ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობას იქ მაიორი ტიმოშენკო ხელმძღვანელობს.

მოხალისეთა ახალი რაზმები უნგრეთში

უნგრეთის ნაციონალური მოძრაობის მთავარი ორგანო გაზეთი „ოშტარტასი“, თავის მოწინავე წერილში სწერს იმ ენთუზიაზმზე, რომელმაც მოიცვა ბუდაპეშტის მოსახლეობა სამხედრო მინისტრის მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ. როგორც ცნობილია, სამხედრო მინისტრმა მოწოდებით მიმართა მოსახლეობას ჩაწერილიყვნენ მოხალისეებად უნგრეთის ეროვნულ არმიაში. მოხალისეები გადაიქცევიან სახელმწიფოს ყველაზე შეუპოვარ დამცველებად. ისინი შექმნიან დამკვრელ რაზმებს და გაუწევენ გადამწყვეტ წინააღმდეგობას ბარბაროსი ბოლშევიკების ყოველგვარ ცდას დაამხვრიონ უნგრეთის სახელმწიფოს კულტურული და სოციალურად სამართლიანი საფუძვლები.

მინისტრმა მოწოდებით მიმართა აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის დაცვაში.

შვეცია არ ეხმარება ნორვეგიელ ლტოლვილებს

ნორვეგიელ ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მინისტრმა ვისტმა განაცხადა, რომ შვეციამ საბოლოოდ გააუქმა წინათ გამოცემული ნებართვა, ჩრდილო ნორვეგიიდან ლტოლვილი ქალებისა და ბავშვების შვეციის რკინიგზებით გამოყვანის შესახებ. როგორც ცნობილია, 28 ოქტომბერს შვეცია დათანხმდა, რომ ნორვეგიიდან ლტოლვილ მოსახლეობას გაევლო მის ტერიტორიაზე. რამოდენიმე დღის შემდეგ მან უარყო თავისი ეს გადაწყვეტილება და დაიწყო ხანგრძლივი მოლაპარაკებანი. ერთ დროს შვეციის დაწესებულებები გამოსთქვამდნენ თანხმობას ლტოლვილი ნორვეგიელების შვეციის რკინიგზებით მგზავრობის შესახებ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი შვეციაში დასახლდებოდნენ. დაწესებულებათა ნაწილი გამოსთქვამდა აზრს, რომ ლტოლვილებს არ მისცემოდათ სადგურებზე მატარებლიდან გამოსვლის უფლება. ეხლა კი მათ შეიცვალეს ამ საკითხზე შეხედულება და სრულიად აკრძალეს ნორვეგიელთა მგზავრობა თავის ტერიტორიაზე.

შვეციის მერყეობის მიზეზად მინისტრი ვისტი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ნორვეგიის ემიგრანტული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ რამოდენიმე დღით შეჩერდა სტოკჰოლმში. როგორც სჩანს, მინისტრის იქ ყოფნის დროს შვეციის ხელისუფლებამ მიიღო საწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

დე ბრინონის გამოსვლა

საფრანგეთის მთავრობის კომიტეტის პრეზიდენტმა, ელჩმა დე ბრინონმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა. მან სასტიკად გაილაშქრა დე გოლის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ დე გოლი წარმოადგენს პეტენის პოლიტიკის საბოტაჟის ორგანიზატორს. დე გოლმა სამშობლო განადგურებამდე მიიყვანა.

ფიურერის მილოცვა ფრანკოსადმი

ესპანეთის სახელმწიფო ხელმძღვანელის გენერალი ფრანკოს დაბადების დღის აღსანიშნავად ფიურერმა გაუგზავნა მას კეთილი სურვილების გამომხატველი მისალოცი დეპეში.

კრემლი ემზადება შურისძიებისათვის

იყო დრო, როდესაც თავისი უფლებებისა და გავლენის განსამტკიცებლად ბოლშევიზმს სჭირდებოდა შემოვლითი გზით სიარული. ეწყობოდა რთული ავანტიურები, იტაცებდნენ სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, გადიბირებდნენ გაზეთებს და სხვ.

ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. იტალია, თუმცა, ჯერ მთლიანად არ არის გასაბჭოებული, მაგრამ „მთავრობა" მზად არის ყოველგვარი სამსახური გაუწიოს ბოლშევიზმს. იტალიიდან ყოველდღიურად იგზავნებიან საბჭოთა კავშირში „თეთრი რუსები".

რუსი ემიგრანტების გადაცემაზე, სტალინი „აწარმოებს მოლაპარაკებას" აგრეთვე ბულგარეთისა და საფრანგეთის „მეგობრულ" მთავრობებთან.

რაც შეეხება იმ რუსი მოხალისეების შინსახკომის ორგანოებზე გადაცემას, რომელნიც ტყვედ ჩაუვარდნენ ინგლის-ამერიკელებს, ამის შესახებ სტალინს, ჩერჩილსა და რუზველტს შორის არსებობს სრული შეთანხმება.

მაგრამ ყველაზე საშინელი ჯერკიდევ წინ არის.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა პრესაში დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში ეხლა მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა პასპორტების გამოსაცვლელად. პასპორტები უნდა გამოეცვალოს საბჭოთა ყველა მოქალაქეს. „მოსამზადებელ სამუშაოთა მასშტაბი მეტად გრანდიოზულია... — სწერს გაზეთი „იზვესტია" — ... აუცილებელია აღირიცხოს და შემოწმდეს მილიონობით ხალხი, რომელთაც ეხლა არ შეუძლიათ სათანადო საბუთებით დაადასტურონ თავისი უმწიკვლო წარსული. ამიტომ პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება..."

ჩვენი აზრით აღარ არის საჭირო გავაგრძელოთ გაზ. „იზვესტიას" ეს ამონაწერი. განა ისედაც გასაგები არ არის საბჭოთა ტირანების ნამდვილი ზრახვები? განა თვითეულმა ჩვენგანმა არ გადაიტანა თავის თავზე „საბჭოთა აპარატის წმენდა", „პარტდოკუმენტების გამოცვლა", „პასპორტიზაცია" და სხვ.? ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ პასპორტების ახალი გამოცვლა ეს არის იმ შურისძიების დასაწყისი, რომელსაც კრემლი უმზადებს საბჭოთა კავშირის განწირულ ხალხსა და იმათ, ვისაც მიიღებს ამ ომის განმავლობაში „მეგობრულ" სახელმწიფოებიდან.

უმუშევრობა ინგლისში

„ინგლისის მთავრობისაგან უთუოდ უნდა მოელოდე მუდამ ერთსადაიმავეს, — აღნიშნავს ჟურნალი „ნიუ ლიდერი", — იქამდე, სანამ მუშები სჭირდებათ, ომის შემდეგ მათ ამქვეყნიურ სამოთხეს ჰპირდებიან. მაგრამ, როგორც კი მუშებისაგან ცოტადთუბევრად აღარ არიან დამოკიდებული, მათ დაუყოვნებლივ სტოვებენ ბედის ანაბარა. ასე იყო პირველი მსოფლიო ომის დროს, ასე არის ეხლაც".

გაზეთი იძლევა ამ ცნობებს ლონდონის ამ მუშათა ათასების დემონსტრაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მოეწყო ნოემბრის პირველ რიცხვებში, სახელმწიფო შეკვეთების შემცირების მიზეზით მათი სამუშაოდან დათხოვნის გამო. „დემონსტრანტთა ლაშქრობა და უკანასკნელი მასობრივი დემონსტრაცია მონტაგის ხეივანში, — განაგრძობს „ნიუ ლიდერი", — დაანახვებს ყველა ბრიტანელ მუშას, რა ბედი მოელის მას ზავის დადების შემდეგ ამ მთავრობის დანაშაულის გამო, რომელმაც არ შეასრულა თავისი დაპირებები".

სისხლიანი კომუნიზმი

პორტუგალიის გაზეთი „ნოვიდადესი" ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების დასასაბუთებლად ათავსებს იმ სისხლიანი გამოსვლებისა და აჯანყებების სიას, რომელიც ბოლშევიკების მიერ იყო მოწყობილი. გაზეთის აზრით ეს სია ნათლად ამტკიცებს კრემლის მისწრაფებას მსოფლიო რევოლუციის მოსახდენად.

„რევოლუციის შემდეგ მხოლოდ 27 წელმა განვლო, — სწერს გაზეთი, — მაგრამ, ამ ხნის განმავლობაში ბოლშევიკებმა უკვე მოასწრეს მოეწყოთ მთელ მსოფლიოში მრავალი ომი, რევოლუცია, აჯანყება, თავდასხმა და სხვ. 1917 წლიდან დაწყებული საბჭოთა კავშირმა ჩაატარა 11 ომი, მათ შორის: 1918 წელს ფინეთის წინააღმდეგ, 1918-19 წლებში ლატვიისა და ესტონეთის წინააღმდეგ, 1920 წელს პოლონეთის წინააღმდეგ, 1925-31 წლებში ჩინეთის წინააღმდეგ, 1936-37 წლებში ესპანეთის წინააღმდეგ, 1939 წელს პოლონეთის წინააღმდეგ, 1939-40 წლებში ფინეთის წინააღმდეგ და სხვ.

იმავე დროის განმავლობაში კომუნიზმმა გამოიწვია 14 რევოლუცია, მათ შორის რუსეთში 1917 წ., გერმანიაში 1921 წ., უნგრეთში (ბელა კუნი) 1919 წელს, ესპანეთში 1931-33-34 და 1936 წლებში, ჩინეთში 1925 წ., მექსიკაში 1928-29 და 30 წლებში, ჩილეში 1932 წელს, კუბაში 1933 წელს, მონღოლეთში 1934 წელს, ბრაზილიაში 1935 წელს, ავღანისტანში 1926 წელს და ა. შ.

გარდა ამისა, მოსკოვმა მოაწყო აჯანყებები, გამოსვლები, თავდასხმები და სხვ. ორმოც სხვადასხვა სახელმწიფოში. ევროპაში აჯანყებებმა მოიცვა: საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, შვეცია, ესპანეთი, პორტუგალია, რუმინეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი, შვეცია, ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, ჰოლანდია და ბელგია. ამერიკაში შეიარაღებული გამოსვლები მოეწყო: არგენტინაში, ბრაზილიაში, ბოლივიაში, კოლუმბიაში, კუბაში, მექსიკაში, ნიკარაგუაში, პერუში, ურუგვაიში და ჩილეში. აზიაში: ავღანისტანში, ჩინეთში, კორეაში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, ირანში, იაპონიაში, მანჯურიაში, მონღოლეთში, პალესტინაში, სირიაში, ფილიპინებზე და თურქეთში. აფრიკაში: მაროკოში და ტუნისში.

სისხლიანი გამოსვლები ეწყობოდა აგრეთვე თვით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მაგალითად, საქართველოში 1924 წელს, თურქესტანში 1928 წელს და ა. შ."

„ცეცხლმფრქვევი" ქუჩებში ბრძოლის დროს.

გერმანული „ტანკის მუშტი" დაუნდობლად ანადგურებს საბჭოთა ტანკებს.

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

დასავლეთის ფრონტზე, აახენის რაიონში უკვე მესამე კვირაა, რაც სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს. ჰეილენკირხენის, იულიხისა და დიურენს შორის და აგრეთვე გიურტგენის ტყესთან გრძელდება ცხარე ბრძოლები. აქ შემოტევას აწარმოებს მტრის დიდი შენაერთი გენერალი დემპსეის სარდლობით. მოწინააღმდეგის ყოველივე ცდა მიეღწია უპირატესობისათვის უშედეგოდ დამთავრდა. გერმანული ჯარები ზოგიერთ ადგილას კონტრშეტევაზე გადავიდნენ და დაიბრუნეს წინათ დაკარგული დასაყრდენი პუნქტები. ორივე მხარემ განიცადა დიდი ზარალი, მაგრამ გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობების თანახმად, მტრის ზარალი გაცილებით სჭარბობს გერმანული ნაწილების დანაკარგებს.

ლოტარინგიაში მე-3 ამერიკული არმია გენერალი პატონის სარდლობით განაგრძობს შემოტევას დაახლოვებით მერციგ-საარლაუტერნ-ჰაგენაუს ხაზზე. მტერმა აქ შესძლო მოახლოვებოდა გერმანელთა თავდაცვით ხაზს. გერმანული ნაწილები უწევენ მტერს გმირულ წინააღმდეგობას და აყენებენ მას უდიდეს ზარალს.

ელზასში გერმანული შენაერთები იგერიებენ მტრის შემოტევებს. ცხარე ბრძოლები სწარმოებს ჩრდილოეთით ქალაქ შლეტშტადტის ახლოს, ხოლო სამხრეთით — ქალაქ მიულჰაუზენთან.

ნოემბრის თვის განმავლობაში დასავლეთის ფრონტზე მტერმა დაჰკარგა: 1.514 ტანკი და 5.200 ტყვე.

ლონდონზე, ანტვერპენზე და ლიეჟზე კვლავ გრძელდება „V1"-სა და „V2"-ს გამანადგურებელი ცეცხლი.

შუა იტალიაში, ფორლის ჩრდილოეთით ბრიტანულმა მერვე არმიამ დაიწყო ძლიერი შემოტევა. მტერი აქ ამაოდ ცდილობს გააფართოვოს თავისი პოზიციები. გერმანული ნაწილების შეუპოვარი წინააღმდეგობით მათი გააფთრებული იერიშები უშედეგოდ მთავრდება.

სამხრეთ უნგრეთში, გრძელდება ცხარე ბრძოლები. ბუდაპეშტის მიმართულებით, ქ. მოხაჩზე გავლით საბჭოთა ჯარებმა შესძლეს წინწამოწევა. გერმანულმა სარდლობამ მიიღო სათანადო ზომები, რათა დაიცვას უნგრეთის დედაქალაქი სამხრეთ-დასავლეთიდან.

შუა უნგრეთში, გერმანულმა და უნგრულმა ნაწილებმა, გენერალ-პოლკოვნიკი ფრისნერის სარდლობით მოიგერიეს 29 ოქტომბერს დაწყებული საბჭოთა და რუმინული ჯარების დიდი შემოტევა. ფრონტის ამ უბანზე მტერმა თავი მოუყარა 61 ქვეით დივიზიას და 7 სატანკო კორპუსს. მოწინააღმდეგემ განიცადა დიდი მარცხი. მოსპობილია 819 ტანკი, 153 თვითმფრინავი, 800-მდე საბარგული და რკინიგზის შემადგენლობა.

კურლანდიაში მეორე თავდაცვითი ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა 19-დან 25 ნოემბრამდე, დამთავრდა გერმანელთა სრული გამარჯვებით. გერმანულ ნაწილებს აქ სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი შერნერი. დაიმსხვრა 70 საბჭოთა დივიზიისა და მრავალრიცხოვანი სატანკო ნაწილების დიდი შემოტევა. მტერმა აქ დაჰკარგა 158 ტანკი.

ნოემბერში გერმანულმა სამხედრო ფლოტმა და წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს მტრის 7 სამხედრო გემი 33.500 ტონა წყალწყვით, 8 ნაღმმზიდი, 1 წყალქვეშა ნავი, 6 სწრაფლმავალი ნავი, 4 მოდარაჯე ხომალდი და 17 სადესანტო ნავი. გარდა ამისა დაზიანებულია 8 გემი და 5 სწრაფლმავალი ნავი.

ნოემბრის თვეში, გერმანიის საჰაერო ძალებმა აღმოსავლეთის ფრონტზე მოსპეს 369 საბჭოთა თვითმფრინავი, ხოლო დასავლეთის ფრონტსა და გერმანიის ტერიტორიაზე 907 ინგლის-ამერიკული თვითმფრინავი, მათ შორის 466 ოთხმოტორიანი ბომბდამშენი.

გასულ დღეებში ინგლის-ამერიკელი ბომბდამშენები განაგრძობდნენ თავდასხმას გერმანულ ქალაქებზე, უმთავრესად ოფენბურგზე, ფრაიბურგზე, კელნზე, ჰანოვერზე, დორტმუნდსა და დუისბურგზე.

მოკლე ცნობები

• **ჩრდილო ამერიკის** ცნობილმა სამხედრო კორესპონდენტმა ჯონ მასონ ბრაუნმა, დასავლეთის ფრონტიდან ამერიკაში დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ ის სამარცხვინოდ სთვლის იმ დიდ უთანხმოებას, რომელიც ფრონტზე მებრძოლ ამერიკელ ჯარისკაცებსა და შეერთებული შტატების მოსახლეობას შორის არსებობს.

• **კანადის** სამხედრო მინისტრის რალსტონის გადადგომის შემდეგ, გადადგა საჰაერო ძალების მინისტრი პოუერი, რომელიც აგრეთვე არ ეთანხმება პრემიერ-მინისტრ კინგს კანადელ ჯარისკაცთა ახალი კონტინგენტის დასავლეთის ფრონტზე გაგზავნაზე.

• **შეერთებული შტატების** საჰაერო შენაერთები თავს დაესხნენ ტოკიოს და მის რაიონს. დაბომბვით მიყენებული ზარალი მცირეა.

• **ჩრდილო ამერიკის** სამხედრო-საზღვაო ფლოტის უფროსის მოადგილედ დანიშნულია ადმირალი ინგერსოლი.

• **ნაციონალური ჩინეთის** ახალი პრეზიდენტი ჩუნგ-კინგ-ში დანიშნულია ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ და ნაციონალური მთავრობის ხელმძღვანელად. როგორც იტყობინებიან, ჩუნგ-კინგ-ში რიგი სხვადასხვა თანამდებობანს ასრულებს.

• **ისპანეთიდან** სურსათისათვის დატვირთული — შვეიცარიაში მიმავალი მატარებელი გაძარცვა დე გოლის მთავრობის პოლიციამ.

• **ჩინეთში** მიმქმედი ჩრდილო-ამერიკის სამხედრო ძალების უფროსმა, გენერალმა ვედემაიერმა განაცხადა, რომ ჩინეთში მოკავშირეთა მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა.

• **პარიზიდან** მიღებული ცნობის თანახმად, იქ გარდაიცვალა საფრანგეთის ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი ჟოზეფ კაიო.

• **ამსტერდამიდან** იტყობინებიან, რომ არეულობანი ბრიუსელში უფრო დაუდგრომელ ხასიათს ღებულობს. ინგლისური ნაწილები ბრიუსელში აჯანყებულთა განიარაღებით არიან დაკავებული.

• **ბერნის** სააგენტოს ცნობით, ბონომის მთავრობის წარმომადგენლებმა ბუქარესტში, მოკავშირეთა კომისიის წინაშე პროტესტი განაცხადეს, რუმინეთში ტყვედ აყვანილი იტალიელი ჯარისკაცების საბჭოთა კავშირში გადაგზავნის გამო.

დღემდე გადაგზავნილია 6.200 იტალიელი ჯარისკაცი.

• **იაპონიის** ჯარებმა გუანსის პროვინციაში დაიკავეს ამერიკელების უკანასკნელი საავიაციო ბაზა ნანტანი. იაპონელებმა ხელთ იგდეს დიდძალი საომარი და მრავალი ტყვე.

• **დეტროიტის** რაიონში გაფიცულია 12.600 მუშა. ხუთმა სამხედრო ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა.

• **შეერთებული შტატების** ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, რომ მომავალ წელს ფოლადის გატანა ინგლისში შემცირდება 50 პროცენტით.

• **ფრანგი** რეციდივისტი და მკვლელი პეტიოტი, კომუნისტების მოთხოვნით განთავისუფლებული იქნა პატიმრობიდან.

უელსი ინგლისის ბედის შესახებ

ერთ როდესაც ბერნარდ შოუს მიაწერეს ე. ა. დაქვეითების ხანაში შევა, ამ დროს იგი ოფიციალურად წარმოშობს თავისი წრიდან ეპოქის ყველაზე კრიტიკოსებს, რომლებიც ხედავენ რა არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილების დასასრულის მოახლოვებას დასცინიან მას. ამავე დროს ამ მოვლენებს არ შეუძლიათ დაასახელონ ის საშუალებანი, რომელთაც შეეძლოთ სახელმწიფო წყობისა და ერის მთლიანობის გადარჩენა.

ასე იყო ძველ რომში; ასე იყო საფრანგეთშიც 1789 წლის რევოლუციის წინ, როდესაც ფრანგული არისტოკრატიის წარმომადგენლები გასაკვირველი კმაყოფილებით ეცნობოდნენ ერთმანეთის ირონიულ აფორიზმებს გამოთქმებში თავისი ბატონობის დასასრულის გამო.

თანამედროვე ინგლისში არსებული წესრიგის შეუბრალებელი კრიტიკოსის როლში, ბერნარდ შოუს გვერდით, გამოდის აგრეთვე ცნობილი ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი. ჩვენი მკითხველები უელსს იცნობენ მისი სახელგანთქმული ფანტასტიკური რომანებით, როგორიცაა: „სამყაროთა ბრძოლა", „დროის მანქანა", „უჩინარი ადამიანი" და სხვ.

უელსის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი წერილებისა, რომლებშიც იგი საშინლად ამათრახებს ბრიტანეთის იმპერიის წყობას და იღაშქრებს მის შესაცვლელად. ამ რამოდენიმე ხნის წინათ მან გამოსცა წიგნი სათაურით — „მოდერნის ახალი წესრიგი", რომელშიც იგი ბრალს სდებს ინგლისელი ერის ხელმძღვანელებს, რომ მათ წამოიწყეს ინგლისისათვის სრულიად უსარგებლო ომი, რომელსაც მთელი იმპერია დაღუპვისაკენ მიჰყავს.

ამ წიგნმა მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე და იგი ეხლა წარმოადგენს გაცხოველებული კამათის საგანს ინგლისის ფართო წრეებში.

ჩვენ, ცხადია, არა გვაქვს განზრახვა გადავცეთ მკითხველებს უელსის ამ წიგნის შინაარსი, მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს, რომლის მიხედვით უკვე ნათელი გახდება, რას ჰფიქრობს თავისი სამშობლოს შესახებ ინგლისელი ერის ეს ერთ-ერთი მეტად გამოჩენილი და საუკეთესო წარმომადგენელი.

„ჩვენი ეპოქის საშინელი ძვრები, — ლაპარაკობს უელსი, — წარმოადგენენ იმის შედეგს, რომ ჩვენს ცივილიზაციას უკვე აღარ აკმაყოფილებს არსებული წესრიგი. დემოკრატიული წყობა უკვე აღარ გამოიყურება ისე მტკიცედ და იდეალურად როგორც წარსულში. მთელი სულით ახალი წესრიგისა და ახალი სოციალური ურთიერთობის მიჯნაზე. მაგრამ ინგლისის ხელმძღვანელი წრეები ვერ ამჩნევენ ამ ცვლილებებს. ისინი ვერ ხედავენ ან არ უნდათ დაინახონ, რომ დემოკრატიული ინგლისი უსაქმურობისაკენ მიექანება. რაც არ უნდა ვიფიქროთ ნაციონალ-სოციალიზმზე და ფაშიზმზე, მათ პოლიტიკურ დოქტრინებსა და მეთოდებზე, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ იმ ფაქტს, რომ მათ სურთ მისცენ კაცობრიობის ცხოვრებას ახალი შინაარსი. მათი მრავალი მიმდევრები გამართლებულია ეპოქის მოთხოვნილებებით და ამიტომ მათ საფრთხილოდ გაუწევს წინ ინგლისელები. ბრიტანეთის იმპერია ეხლა წარმოადგენს ისეთ პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც ახალი შემოქმედებითი იდეების ველზე ნაკლები კონკურენტი აქვს. ინგლისის ხელმძღვანელები ეხლა უკვე ვეღარ ჰქმნიან ახალ იდეებს, არამედ წყალწაღებულებსავით ებღაუჭებიან ძველ, სრულიად უვარგისსა და უსარგებლო იდეებს და იმედი აქვთ, რომ ეს დრომოჭმული იდეები გადაარჩენენ სახელმწიფოსა და ერს. ინგლისს არ გადაუწყვეტია არცერთი საკითხი, რომელიც ეპოქამ წამოაყენა კაცობრიობის წინაშე. ჩაებნენ რა ომში, ჩვენმა მეთაურებმა დაისახეს მხოლოდ ერთი მიზანი, ეს არის — ნგრევა. ბრიტანეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები ენთუზიაზმით მიისწრაფვიან ჰიტლერის მოსასპობად, მაგრამ მათ ვერ წარმოუდგენიათ, რა სახის იქნება მსოფლიო უჰიტლეროდ. მათ აქვთ ომის გეგმები, მაგრამ არა აქვთ ომისშემდგომი პერიოდის სურათი".

„ჩვენ ეხლა ნათლად ვხედავთ, — ამბობს ცოტა ქვემოთ უელსი, — თუ როგორ მიექანება ბრიტანეთის იმპერია დაღუპვისაკენ. ოდესღაც ინგლისელებს ეგონათ, რომ ბრიტანეთის იმპერია გახდებოდა მსოფლიოს მტკიცე საძირკველი. ეხლა კი ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, რომ უახლოეს მომავალში ინგლისი გადაიქცევა ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოდ მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვაგროვებდით სიმდიდრეს, მაგრამ ძალიან ჩქარა, ეგებ იმისთვისაც კი აღარ გვეყოფა, რომ ჩვენი ცოდვები გამოვისყიდოთ. ადრე თუ გვიან ბრიტანეთს აღარ ეყოლება მოკავშირეები, რომელთაც უღალატებდა იგი, აღარ ექნება კოლონიები, რომელნიც მას დაემორჩილებიან".

„თანამედროვე ომი თითქოს პოლონეთისათვის დაიწყო, — ლაპარაკობს დაცინვით უელსი, — ჩვენმა მთავრობამ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა, როდესაც შეაჩერა პოლონეთის ხელმძღვანელებს მათი სახელმწიფოს აღდგენის. ეხლანდელი მთავრობა უნდა შეიცვალოს ახალი ხელისუფლებით, რომელსაც ექნება მეტი საშუალება როგორმე თავი დააღწიოს ამ დაპირებისაგან. ინგლისელი ხალხის რწმენა და ნებისყოფა ყოველდღიურად ეცემა, განსაკუთრებით ეცემა რწმენა ჩვენი მთავრობისა და არსებული წესწყობილებისადმი. უკვე არავინ აღარ არის დარწმუნებული თავისი მდგომარეობის სიმყარეში, დაიკარგა რწმენა ხვალინდელი დღისადმი. ხალხს უკვე აღარ სჯერა იმ ფულისაც, რომელიც მას ჯიბეში უდევს და განა რწმენა არ არის საფუძველი საზოგადოებრივი ურთიერთობისა? ვის შეუძლია ცხოვრება რწმენისა და ნდობის გარეშე?"

აი, ასეთი უსიხარულო ფერებით გვიხატავს უელსი თანამედროვე ინგლისისა და მისი ხალხის ცხოვრების სურათს. ეს ამონაწერები მართლაც რომ საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენენ ინგლისის ეხლანდელი მდგომარეობის დასახასიათებლად. ბრიტანეთის იმპერია, მისი პლუტოკრატიული ოლიგარქიის უნიათო ხელმძღვანელობის წყალობით, სოციალურ და პოლიტიკურ ჩიხში მოექცა. უელსის გაფრთხილებას ეს ხელმძღვანელები მაინცდამაინც სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ, და რომ მიაქციონ კიდეც, გამოსავალი მაინც არ სჩანს.

„ჩვენი აზრით უკვე არავის აღარ შეუძლია გადაარჩინოს ბრიტანეთის იმპერია დაღუპვისაგან, მისი ბედი უკვე განწირულია. ჰერბერტ უელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრიტანეთის იმპერია უახლოეს მომავალში „გადაიქცევა ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოდ მთელს მსოფლიოში".

კამიკაცეს მფრინავები

დღეს მთელი მსოფლიო ლაპარაკობს იმ გმირი იაპონელი მფრინავების შესახებ, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის შეწირვით მტერს უდიდესი ზარალი მიაყენეს. კამიკაცეს მფრინავები (ასე უწოდებენ ამ გმირებს!) ყოველგვარი ყოყმანისა და დაფიქრების გარეშე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. აი, ერთი ეპიზოდი მათი ბრძოლიდან:

სამხედრო დაზვერვამ ცნობა მიიტანა, ჩრდილო ამერიკის 20 დიდი და 30 პატარა სატრანსპორტო გემი ლეიტეს კუნძულებს მიუახლოვდათ. დადგა კამიკაცეს მფრინავების მოქმედების დრო. მათთვის ასეთი ამოცანის შესრულება სიცოცხლის ფასია, მაგრამ არცერთი მათგანი ამაზე არ ჰფიქრობს! სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით გამსჭვალულნი, ისინი ოცნებობენ მხოლოდ იმაზე, მტერი როგორმე დაამარცხონ და მამული საფრთხისაგან იხსნან... ცნობას მალე ბრძანებაც მოჰყვა: „ობერლეიტენანტი დემარუ, ლეიტენანტი ტანიკავა და ფელდფებელი კიროშიტა მოემზადებიან აღნიშნულ გემთა ქარავანზე თავდასასხმელად. გაფრენის დრო დამატებით გეცნობებათ. იყავით მხნედ და თქვენი მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ".

სამივე ვაჟკაცის სახე შინაგანმა სიხარულმა გააბრწყინა... „მე ყველაზე უფრო დიდ გემს დავეცემი", აცხადებს ობერლეიტენანტი დემარუ. ლეიტენანტი ტანიკავა მიდის თავის მანქანასთან და იქიდან არ ისვენებს, სანამ არ რწმუნდება, რომ ყველაფერი რიგზეა. მას აგონდება წარსულ კვირაში თავისი პირველი სასიკვდილო გაფრენა. როდესაც იგი, მოტორის გაფუჭების გამო, იძულებული იყო უკანდაბრუნებულიყო, და მწარედ იხრავს. მაგრამ ამჯერად არა, — ჰფიქრობს ის, — ამჯერად ჩემს მანქანასთან და მტრის ერთერთ დიდ გემთან ერთად სამუდამოდ ჩავეშვები ზღვის ფსკერისაკენ... ფელდფებელი კიროშიტა ჯიბიდან თეთრი აბრეშუმის ნაჭერს იღებს, რომელიც თავისი ნაწილის, „ვასუკუნის" ნიშანს წარმოადგენს და უსიტყვოდ შუბლზე იკეთებს.

მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დამთავრებული იყო, როცა აეროდრომის კომენდანტის სახლიდან ბრძანებით ხელში მეთაური გამოვიდა. სტარტის ადგილას თავი მოიყარეს მფრინავებმა და ტექნიკურმა პერსონალმა. მათ სურთ გამოემშვიდობონ მეგობრებს და უკანასკნელი სამხედრო სალამი უძღვნან. აგერ, აფრინდა ობერლეიტენანტი დემარუს მანქანა. მას მიჰყვა ლეიტენანტი ტანიკავა და ფელდფებელი კიროშიტა. ამხანაგები ხელების ქნევით აცილებენ მათ. გმირი მფრინავები თვითმფრინავის ფრთების ქანაობით უპასუხებენ მეგობრებს და მალე თვალთახედვიდან სამუდამოდ იკარგებიან.

რამოდენიმე დღის შემდეგ იაპონიის საიმპერატორო სადგომმა მიიღო ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამერიკის სამი დიდი სატრანსპორტო გემი ჩაძირეს „ვასუკუნის" საავიაციო ნაწილის მფრინავებმა. ისინი თავიანთ თვითმფრინავებთან ერთად ცის კამარიდან ყუმბარასავით დაეცნენ მტრის გემებს.

იაპონია. ერთერთი ქალაქის ხედი.

კაპიტალისტთა შიში

დ. თბილელი

თანამედროვე ომი, კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურულ და მატერიალურ ღირებულებათა გამანადგურებელი მსოფლიო კატასტროფა, ინგლისმა იმ იმედით დაიწყო, რომ გერმანიისათვის ყოველივე გზა შეეკრა და სათავეშივე ჩაეხშო მის მიერ ახალ საფუძველზე აგებული სოციალ-პოლიტიკური წყობა, რომელმაც რამოდენიმე წელში მრავალი მწვავე სოციალური საკითხი წარმატებით გადასჭრა.

ახალი გერმანიის ეკონომიურმა ცხოვრებამ ისეთი ნიშნები გამოავლინა, რომლის შემდეგი განვითარება და წინსვლა მას უდიდეს გაფურჩქვნას უქადდა, ეს კი საფრთხეში ჩააგდებდა ინგლისის წმინდა კაპიტალისტურ, ძველ სისტემაზე დამყარებულ ეკონომიკას.

უფრო მეტმა შიშმა შეიპყრო რუზველტის ამერიკა, ანუ მის გარშემო თავმოყრილი ფინანსური კაპიტალის დამცველები. რუზველტმა, ამერიკის პრეზიდენტობის მიღებისთანავე 1933 წელს, თავისი ახალი გეგმით — „ნიუ დილ", არსებითად კი კაპიტალისტური მეთოდით, ვერ შესძლო ეკონომიური სიძნელეების და სამრეწველო კრიზისის დაძლევა მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის მოქალაქეებს დაჰპირდა — მოეხდინა უმუშევრობის საყოველთაო ლიკვიდაცია, სინამდვილეში უმუშევართა რიცხვი ომის დაწყების წინ, 1939 წელს, თორმეტ მილიონამდე ავიდა და ეხლაც ამერიკის ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ ეს რიცხვი 17 მილიონამდე გაიზრდებაო. მართლაც რომ მშვენიერი პერსპექტივაა ამერიკელი მუშებისათვის! სწორედ ამიტომ რუზველტის ახალ პროგრამაში მთავარ მუხლად საგარეო ვაჭრობის გრანდიოზული გაფართოება წამოყენებული. შინაური კრიზისების ძალღევას კაპიტალისტური რეჟიმი ყოველთვის საგარეო ექსპანსიით ცდილობდა. ეს ცდა, რასაკვირველია, უნაყოფო იყო. სამაგიეროდ, გერმანიაში ამავე დროის განმავლობაში, უმუშევრობის ნასახიც აღარ დარჩა. ევროპის სამეურნეო ბაზარი, ზოგან ევროპის გარეშეც, მიუხედავად ფსიქოლოგიური წინააღმდეგობისა, თანდათან გერმანიის ეკონომიკას ეთვისებოდა, ვინაიდან სრულიად ცხადი გახდა სარგებლობა იმ მეთოდებისა, რომლითაც ნაციონალ-სოციალისტური გერმანია გამოდიოდა საერთაშორისო სარბიელზე. გერმანია დაინტერესდა მთელი ევროპის როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე ინდუსტრიის აყვავებით და მისი ეკონომიური პოლიტიკაც აქეთკენ იყო მიმართული. გერმანიის ეკონომიური კონცეპციის მიხედვით, არამარტო საკუთარი ქვეყანა, არამედ მთელი ევროპა უნდა გამხდარიყო ერთ ეკონომიურ ერთეულად, რითაც იგი ადვილად გაუმკლავდებოდა წმინდა კაპიტალისტურ ქვეყნების ამერიკისა და ინგლისის, ექსპლოატატორულ მიდრეკილებას, რომლის გარეგანი გამობატულება ინგლისის სტერლინგისა და უფრო კი ამერიკის დოლარის უსაზღვრო ბატონობაში გამოიხატებოდა.

აი, ერთერთი მიზეზი დღევანდელი ომის ხანძრის დანთებისა!

მეორე მხრივ ომის მსვლელობის სამხედრო-პოლიტიკური ვითარება გვარწმუნებს, რომ ბოლშევიზმი აშკარა იმპერიალისტური ზრახვებით მოიწევს ევროპისაკენ. მის მიერ დაპყრობილ ხალხთა ცხოველმყოფელი ძალის დიდი ნაწილი—ოფიცრობა, ინჟინრები, სპეციალისტი მუშები და მუშაბელი, საბჭოთა რუსეთში იჭრება გადასახლებული. თვით ამ დაპყრობილ ქვეყნებში, ბოლშევიზმის მზაკვრული პოლიტიკის წყალობით, რაც დრო გადის, მდგომარეობა მწვავდება. მსგავს მოვლენას ვხედავთ გერმანიის მიერ დატოვებულ საფრანგეთში, ბელგიასა და საბერძნეთში. საბჭოთა რუსეთი ამზადებს ამ ქვეყნების შიგნიდან აფეთქებას. ბოლშევიზმის საფრთხე მთელ ევროპას განადგურებას უქადის. ეს მდგომარეობა არ შეიძლება არ აფორიაქებდეს ინგლის-ამერიკის კაპიტალისტ-პლუტოკრატთა სიმშვიდეს. ამის ნიშნებს ჩვენ ვამჩნევთ იმ წუწუნში, რომელიც დროგამოშვებით გაისმის მათს ბანაკში. აი, რას სწერს, მაგალითად, ინგლისის ერთერთი გაზეთი „კათოლიკ ტაიმსი": „როცა ვგრძნობთ, რომ თითქოს არ ვამჩნევთ იმ უდიდეს უსამართლობას, რომელსაც სჩადის ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა რუსეთი მრავალი ხალხების მიმართ, სამართლიანად ისმება კითხვა: იცავს თუ არა ინგლისი კიდევ იმ პრინციპებს, რომელთა გამო მან ომი გამოაცხადა? თუ ინგლისი მართლაც „ხალხთა თავისუფლების" დამცველია, მაშინ როგორღა ითმენს ბოლშევიკების იმ საქციელს, რაც მხოლოდ ხალხთა დამონებაა და მეტი არაფერი!"

საკვირველია ერთი გარემოება: რაც მეტი დრო გადის მათ გულში შიში ისადგურებს—შიში ხვალის წინაშე, ვინაიდან ისინი გრძნობენ, რომ წინააღმდეგობა, რომელიც კაპიტალისტურ სისტემას ახასიათებს, ომის შემდეგ უფრო გაიზრდება. პლუტოკრატები კარგად ამჩნევენ, რომ აუცილებლად მოხდება სოციალური ბრძოლის გამწვავება და იგი ისეთ ფორმებში ჩატარდება, რაც მათს ბატონობას სამუდამოდ სამარეს გაუთხრის. მაშ რატომ იბრძვიან ისინი, რატომ ეწირება აუარებელი მსხვერპლი ომის წარმოებას? რას მოიგებს გერმანიის დამარცხებით, მაგალითად ინგლისი? აი, რა საკითხები ისმება მათი ქვეყნების წინაშე. 80 პროცენტი ინგლისელი ტყვეებისა დარწმუნებულია, იმაში რომ თუ გერმანია დამარცხდა, მათ მოუხდებათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება. ამერიკელმა ტყვეებმა არ იციან, ომის დასრულების შემდეგ კიდევ რამდენ ხანს დარჩებიან ევროპაში. მათ სჯეროთ, რომ სმეტი, სამხრეთი აფრიკის ჭეყანათა კავშირის მეთაური, მართალია, როცა ამბობს: დამარცხებულ ქვეყნებთან საზავო მოლაპარაკება ათ წელს გაგრძელდებაო. მაშასადამე ამ ხნის განმავლობაში ნორმალურ მდგომარეობაზე ფიქრიც ზედმეტია. რატომ იღვრება ამერიკელთა ზღვა სისხლი? იმიტომ ხომ არა, რომ ბოლშევიზმი გაბატონდეს ევროპაში? ამერიკისათვის ევროპის ფრონტი ისედაც მეორეხარისხოვანი საქმეა. მას აინტერესებს დიდი ობიექტები: მთელი აფრიკა, სამხრეთი ამერიკა, ჩინეთი, ინდოეთი, და სხვ. აი, მისი საბოლოო მიზანი, ევროპაში გართულებული მდგომარეობა კი ამ მიზნების მიღწევას აძნელებს. ინგლისის პოლიტიკამ ხომ მთლად დაჰკარგა საჭე. იგი ამ ომიდან, რაც არ უნდა მოხდეს, წაგებული გამოვა. ინგლისის გაბატონებულმა წრეებმა კარგად იციან, რომ თუ ეს პერსპექტივა დღეს, ომის ცეცხლში, ისე ნათლად არა სჩანს, რადგან იქ „საშინაო ზავის" შენარჩუნებას ჩერჩილი კიდევ ახერხებს, ომის დამთავრების შემდეგ იგი მწარე რეალობად გადაიქცევა და მთელი სიმწვავით მშრომელ ხალხს კისერზე დააწვება, რასაც უთუოდ სოციალური მოძრაობა მოჰყვება. პლუტოკრატები ჩიხში მოემწყვდნენ და გამოსავალი ვერ უპოვნიათ! ისინი გრძნობენ, რომ ომის გაგრძელება მდგომარეობას ამწვავებს, ომის დამთავრება კი თვით არსებულ სოციალ-პოლიტიკური სისტემას განსაცდელში აყენებს. ეს არის მთავარი საკითხი რის წინაშეც თრთიან და კანკალებენ კაპიტალისტური რეჟიმის მესვეურნი!

ქართველი ინტელიგენციის გოლგოთა

მოხ. ი. ისპირელი

თბილისის საბჭოს პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე, როგორც „ხალხის მტრები" ამხილეს და შემდეგ გადაასახლეს ძველი პედაგოგები კორნელი ჭაცარავა და პედაგოგიური სახელმძღვანელოების ცნობილი ავტორი გ. გოგუაძე. 1937 წელს „ეჟოვშჩინის" მსხვერპლნი გახდნენ საქ. განათლების კომისარი ქ. პეტასელი და თბილისის უნივერსიტეტის რექტორი კარლო ორაგველიძე. დაიღუპა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი ფინანსისტი, ევროპაში განათლებამიღებული გერმანე მგალობლიშვილი. დახვრიტეს ძველი პარტიული მუშაკი, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლავრენტი ქართველიშვილი, რომელიც დახვრეტის წინ მუშაობდა შორეული აღმოსავლეთის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელად. თავიდან მოიშორეს ბოლშევიკური „ძველი გვარდიის" თვალსაჩინო წევრი, შულავერის „მუშურ-გლეხური მთავრობის" თავმჯდომარე, სპეციალობით სამხედრო ექიმი, მამია ორახელაშვილი, რომელიც რუსეთის მე-11 არმიის ურდოებს საქართველოში შემოუძღვა. ეს ის მამია ორახელაშვილია, რომელიც სერგო ორჯონიკიძესთან ერთად ანადგურებდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო კადრებს, როგორც „ბურჟუაზიულ-შოვინისტურს" ისე კომუნისტურს. მის დროს თბილისი აივსო რუსული დაწესებულებებითა და უცხო ელემენტებით.

მამიასთან ერთად დახვრიტეს მისი მეუღლე მარიამ მიქელაძის ასული ორახელაშვილისა, განათლების ყოფილი კომისარი, რომლის უნიჭო მუშაობის შედეგად მთლად აირია ისედაც არეული საქმე განათლების დარგში.

დახვრიტეს ამიერკავკასიის „ფედერაციის" სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, შულავერის „მუშურ-გლეხური მთავრობის" წევრი შალვა ელიავა, ამავე გზას გაუყენეს საქ. კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელი მიხა კახიანი; დახვრიტეს აგრეთვე მიშა ოკუჯავა, რომელმაც თავი „ისახელა" საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საჯარო პროცესზე, დაიღუპნენ საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი ლევან ლოლობერიძე და ამიერკავკასიის კომ. ორგანიზაციების ხელმძღვანელი ბესო ლომინაძე. სტალინური რეჟიმისა და „ეჟოვშჩინის" მსხვერპლი გახდა აგრეთვე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მდივანი აბელ ენუქიძე, მათი „ძველი გვარდიის" წევრი.

დასაწყისი იხ. გაზ. „საქართველო" № 48 (125).

გადაასახლეს თუ დახვრიტეს კარგად ცნობილი თედორე კალანდაძე, რომელმაც საქართველოსა და ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე თავისი მჭერმეტყველებით სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერკავკასიაში ოტო კარკლინი.

დახვრიტეს ბუდუ მდივანი, შულავერის „გმირი", რომელიც რუსულ-ბოლშევიკური მე-11 არმიის ხიშტებით ეძგერა მშობელ ქვეყანას, „ბითუმად" და „უხვად" ურიგებდა რა მეზობლებს საქართველოს ისტორიულს, სისხლით მორწყულ მიწა-წყალს.

დაიღუპა თენგიზ ჟღენტი, ქართული დივიზიების პოლიტგანყოფილების უფროსი, შემდეგში საქართველოს ცეკას მდივანი, რომელმაც მედგრად გაილაშქრა ამიერკავკასიის „ფედერაციისა" და თბილისის უცხო ელემენტებით ავსების წინააღმდეგ. მან თავი მოიკლა, ამას მოჰყვა მისი უდანაშაულო ოჯახისა და ახლო ნათესავების აწიოკება.

დაიღუპნენ აგრეთვე ძმები — ლევან და პეტრე აღნიაშვილები, ჟურნალისტი ვალია ბახტაძე, მეცნიერული მუშაკი ერმილე გორდელაძე, საქართველოს საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელი, დოცენტი ზენო მესხი, სუბტროპიკული ინსტიტუტის დამაარსებელი ვასო კანდელაკი.

O

ბოლშევიკურ ეშაფოტზე დაღუპულთა ჩამოთვლა აქ ცხადია, შორს წაგვიყვანდა. ამ წერილში შევეცადეთ მოგვეცა სტალინური რეჟიმის მიერ ქართველი ინტელიგენციის განადგურების საერთო სურათი. როდესაც აღნიშნულ საკითხზე ვწერდით, არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო ინტელიგენციის საუკეთესო თუ ცალკეული წარმომადგენლებისათვის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდანაც. ზოგიერთმა მათგანმა დიდი ეროვნული ღალატი ჩაიდინა ქართველი ერის მიმართ, როცა იგი რუს დამპყრობელ ძალებს სამშობლოში შემოუძღვა. ამ ნაბიჯით მათ სრულიადაც ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს, დარჩნენ მოტყუებულნი და გაწბილებულნი, ბოლოს კი საკუთარი თავიც დაჰკარგეს. მათაც დაღვარეს თავიანთი სისხლი, ისინიც ავიდნენ გოლგოთაზე. მაგრამ იმ დანაშაულის გამოსყიდვა, რომელიც მათ თავისი ერის წინაშე ჩაიდინეს, საკუთარი სისხლითაც კი ნაწილობრივ თუ შეიძლება.

განადგურდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალები. მაგრამ ქართველი ხალხის მთელი მოწინავე ნაწილის მოსპობა არავითარ ძალას არ შეუძლია. დღეს, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი სწარმოებს ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ინტელიგენცია ერის ამ ტრაგიკულ მომენტში მის მოწინავე რიგებში სდგას.

ტყუილად იძახის საბჭოთა პრესის მეჯლაბნელი, ურია ილია ერენბურგი, რომელიც „პრავდის" პოზიციებიდან ასეთ სიტყვებს ისვრის: „ჩვენ ვიპოვით მათ (ალბათ „მათში" გულისხმობს საბჭოეთიდან მოსულ იმ პოლიტიკურ ინტელიგენციასაც, რომლებიც ერთად იბრძვიან ეროვნული დროშის ქვეშ ი. ი.), ისინი ვერ დაიმალებიან ჩვენგან. ჩვენ ამოვძირკვნით მათ სოროებიდან. ჩვენ ვიპოვით მათ ზღვის ფსკერზე, მთვარეზე და მარსზედაც კი; ისინი ვერ გაექცევიან ჩვენს შურისძიებას".

დიახ! ერენბურგის ჯიბიდან წარმოშობილი მოჯგილევსკი იყო, რომ უმოწყალოდ და შეუბრალებლად ჟლეტდა ჩვენი ერის საუკეთესო, მოწინავე ადამიანებს, მაგრამ ერენბურგებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლო არ მომკვდარა, ის კვლავ აღსდგება და მაშინ ჩვენ თვითონ მოვძებნით მათ, ვინც ასე ანადგურებდა ჩვენი საამაყო ინტელიგენციის საუკეთესო კადრებს.

მოგონებათა რვეული

საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხანიდან

6. სომეხ-ქართველთა შეჯახება

ალექსანდროვის ბაღს რომ ჩავუარე, ტროტუარზე დავინახე ქართული ლეგიონის ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე. შევაჩერებინე მანქანა.

— დათო, შენი ჭირიმე, მომეხმარე. ორი ასეული ლეგიონისა მზადაა მყავს ოფიცრებიანად. მხოლოდ ბევრი რამ გვაკლია სამგზავროდ. ვიყავი სამინისტროში და მოვითხოვე. მითხრეს, თურმე ეს საქმეც შენ გაბარია. გამეხარდა, გამოვარდი გარეთ და შენ დაგეძებდი. საბედნიეროდ, ასე კარგად შევხვდით ერთმანეთს — სთქვა ლეომ.

იქვე მივეცი მას პოლკ. თათარაშვილის სახელზე ბარათი კერესელიძის ლეგიონისათვის საჭირო ამუნიციის მისაწოდებლად.

— რამდენ კაცს გამოიყვან ამ საღამოს სადგურზე, ლეო?

— 250-ს, ხუთი ოფიცრით — მიპასუხა მან.

— მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ლეო, აბა, შენ იცი. საღამოს შევხვდებით თბილისის სამხედრო სადგურზე. ნახვამდის!

O

შევედი გიორგაძის კაბინეტში. მინისტრი წამოდგა მაგიდიდან, მომეგება და აღელვებულმა მკითხა:

— როგორ არის საქმე, ბატონო დავით?

ამოვიღე ჩემი უბის წიგნაკი და გადავუშალე ჯამი გასაგზავნად დაგროვილი ქართული რაზმებისა.

— ყველა ეს სამხედრო ნაწილები გავლენ თბილისიდან დღეს, საღამოს 9 საათზე და ჩაბარდებიან გენერალ მაზნიაშვილს ღამის 11-12 საათზე — გამოვუცხადე გიორგაძეს. მეტად გახარებულმა გიორგაძემ ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა:

— წავალ საჩქაროდ სასახლეში, რათა გავახარო ჩვენი მთავრობა, თორემ იქ მეტად აღელვებული არიან.

— ბატონო გრიგოლ, 8-ნახევარი საათისათვის მზად იყავით. სასახლეში შემოგივლით, რათა წაგიყვანოთ სადგურზე ჯარის გასაცილებლად — მივმართე გიორგაძეს.

— ბატონი ხართ, წამოგყვებით და ერთად გავაცილოთ ჩვენი ჯარი — დამეთანხმა გულკეთილი გიორგაძე.

O

საღამომდე მივიღე ყველა ზომა, რათა რკინიგზის მხრივ უზრუნველმეყო სამხედრო მატარებლების წესიერი გასვლა. სადგურის უფროსებს დავემუქრე „საველე სასამართლოთი", თუ ჩემს ბრძანებას დროზე არ შეასრულებდნენ. მაშინ ჩვენს გზებზე ბევრი უცხო ხალხი მსახურობდა და ქვეყნის გაჭირვების დროს ჩუმად მრავალ უწესრიგობას ახდენდა.

O

საღამოს შევიარე სასახლეში. მთავრობის კრება იყო. მორიგეს ვთხოვე ეცნობებინა გიორგაძისათვის ჩემი მისვლა. გამოვიდა გიორგაძე და მობოდიშებით მითხრა:

— მთავრობის კრებაა. მოხსენებას ვაკეთებ თქვენს სამაგალითო საქმიანობაზე. მთავრობის სახელით გთხოვთ თქვენ დაულოცოთ ჩვენს ჯარს გზა და გააცილოთ.— ეს მე არ მეჭაშნიკა. სრულიად არ ვიყავი იმ გუნებაზე, რომ მთავრობის სახელით დამელოცა გზა ქართველი მხედრებისათვის. გიორგაძეს ვუპასუხე:

— მთავრობის წევრი არ გახლავართ. მეტიჩრობა არ შემშვენის. ვფიქრობდი ამ გაჭირვების წუთს ჯარის გამხნევება, რომელიც ქვეყნისა და მთავრობის დასაცავად მიემგზავრება, უფრო მნიშვნელოვანად ჩათვლება, ვიდრე... კრება, რომელიც შეიძლება ნახევარი საათით გადაიდოს. — „ესწავლიდი ქვრივს" ჰუთაფსის ჰკვიან ვექილს, მაგრამ იმავე დროს ვებოდიშებოდი მიზეზს მისი უარისა: მთავრობაზე გამწყრალ ქართულ ჯართან და ოფიცრებთან მის წევრს ეთაკილებოდა შეხვედრა. ამით გამოდგა ჩემი ცდა საქართველოს მთავრობის პრესტიჟის დაცვისათვის ჯარში. გიორგაძემ მეტად უხერხულად გაიმეორა თავისი უარი და მეც დავუკარი თავი და დავსტოვე სასახლე.

O

ავტომობილი მიმაქანებდა რკინიგზის სადგურისაკენ. მიხეილის პროსპექტზე სასტუმრო „ნოეს" რომ მივუახლოვდი, უკან მომესმა სამხედრო მუსიკის ხმა. გავჩერდი ჩემი მანქანით. მოდიოდა პოლკოვნიკი ბალუაშვილის ათასეული. ჩემს წინ მწყობრად გაიარა მეხუთე ათასეულის 7 ასეულმა. მას უკან მოსდევდა კერესელიძის ლეგიონის ორი ასეული ნესტორ მაღალაშვილის უფროსობით. ტროტუარებზე დაგროვილი ხალხი აქეთ-იქიდან აძლევდა მათ სალამს. დანიშნულ 9 საათზე ორი გრძელი მატარებელი, ერთმანეთზე მიყოლებით, დაიძრა აღმოსავლეთისაკენ. მათი გაცილების შემდეგ გავეჭანე ნავთლუღისაკენ, სადაც იტვირთებოდა რატიშვილის „ცხენოსანი ჯარი"... თურმე მათ ნახევარი საათით გამისწრეს... საზოგადოდ, ყველა ჩვენს ჯარის ნაწილებს შევამჩნიე დიდი მხნეობა და ბრძოლის დიდი განწყობილება.

— ეხლა კი იმედება გიორგი მაზნიაშვილს — ვფიქრობდი მე.

— 500 ჯარისკაცის მაგიერ გაუგზავნე 1.500 და თუ გაიგებს, რომ მე ვარ კვლავ მისი ზურგის გამმაგრებელი, ალბათ უფრო გამხნევდება.

მაგრამ, ამ 1.500 კაცმა, საბედისწერო დღეს უშველა არამარტო გ. მაზნიაშვილს, არამედ ვ. ჯუღელსაც. იგი სწერს თავის დღიურში:

„21 დეკემბერს ღამით ჩვენ მოგვივიდა 1.500 ჯარისკაცი. ეხლა ჩვენ შეგვიძლება უფრო ენერგიული მოქმედება..."

ქართველების მძიმე მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა. სომხებმა შეაჩერეს შემოტევა. მხოლოთ საჭირო გახდა საჩქაროდ ორი იმდენი ძალის კიდევ გადაგზავნა, რათა ჩვენებს შესძლებოდათ შეტევაზე გადასვლა. ამიტომ დავუგზავნე დეპეშები საქართველოს ყველა იმ ადგილებს, სადაც ჩვენი მუდმივი სამხედრო ნაწილები ბინადრობდნენ და მოვითხოვე სასწრაფოდ ფრონტისაკენ გამომგზავრება. მალე, ნავთლუღის სადგურიდან, სადაც მუდმივი ბინა გავიმართე, დღედაღამ ფეხზე მდგარი ვაცილებდი მაშველ ქართულ ჯარებს, მომდინარეს სამეგრელოდან, ქუთაისიდან, გორიდან. ათი დღე ნახევრადმძინარი და მშიერი არ ვცილდებოდი თბილისის რკინიგზის სადგურებს... უკვე 4.500 ჯარისკაცი მივაშველე ფრონტს, ველოდებოდი კახელების ათასეულს თელავიდან...

O

25 დეკემბერს გავიგე, რომ მაზნიაშვილი აწყობს ცდებს შულავერის აღებისა, მაგრამ ვერ აღწევს მიზანს, რადგან შულავერის გარშემო მაღლობები სომხებმა კარგად გაამაგრეს და ზარბაზნებს უშენენ (სომხებს კარგი არტილერისტი ოფიცრები ჰყავდათ) ქართველთა მოიერიშე რაზმებს.

თელავიდან მე-6 ათასეულის უფროსის გენერალი თავაძისაგან დეპეშა მივიღე:

„ნება მომეცით, ერთი დღით დავიგვიანო. ათასეულს აკლია ზოგიერთი საგზაო ნივთი. გენ. თავაძე".

„დაუყოვნებლივ დაიტვირთეთ მატარებელში და წამოდით... ნავთლუღში დაგხვდებათ ყველა საჭირო საგანი ჯარისათვის. დავით ვაჩნაძე".

მეორე დღეს ნავთლუღის სადგურს მოადგა ვეებერთელა მატარებელი. გაისმა ნაღარის ხმა და მთელი ათასეული თვალის დახამხამებაზე კოხტად გამწკრივდა სადგურის ბაქანზე. გენერალი თავაძე მომეგება მოხსენებით.

ათასეულის ადიუტანტს გადავეცი ბარათი გენერალ მაზნიაშვილის სახელზე. მას ვწერდი:

„ძვირფასო ბატონო გიორგი, გიგზავნით კიდევ 500 მეომარს, კახელს. ამისთანა ხუთასი ვაჟკაცით ჩვენი წინაპრები თავრიზსა და არდებილს იღებდნენ. თქვენ კი ამ ათ დღეში 5.000 ჯარისკაცი მოგაშველეთ და შულავერიც კი ვერ აიღეთ! გულითადი სალამი, თქვენი დ. ვაჩნაძე".

დავით ვაჩნაძე.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება იხ. გაზ. „საქართველო" № 48 (125).

ქართული სასპორტო დღესასწაული

იტალიის მთებში ხანგრძლივი მოქმედების შემდეგ ათასეული ქალაქ ვ-ში ჩამოვიდა.

საჭიროა ნივთიერი და სულიერი დაჭურვა, კუნთების გახალისება, ცოდნის გაღრმავება.

ათასეულის მეთაურობამ გადაწყვიტა სამოსწაველო თვეს სპორტული დღესასწაულით შეხვედროდა; შემუშავდა მრავალფეროვანი გეგმა; გაჩაღდა მუშაობა. ასეულებმა მიიღეს შეჯიბრების დაწვრილებითი პირობები სპორტის სხვადასხვა სახეებისათვის. ქართველი და გერმანელი ვაჟკაცები ხალისით ჩაებნენ სახელდახელოდ შედგენილ ჯგუფებში. გამოცდილი სპორტსმენი ლეიტ. კ-ძე ჯგუფიდან ჯგუფში გადადის და სათანადო მითითებებს იძლევა. ხდება წინასწარი შეჯიბრება, რათა გადამწყვეტ წუთში მჯობზე მჯობი იცავდეს ასეულის სახელს...

უფრო „მძიმე" ხალხიც არ ვრჩებით უსაქმოდ, წესრიგში მოგვყავს სასპორტო მოედანი, ვაწყობთ ვერანდას სტუმრებისათვის; გენერალმა გამოთქვა სურვილი, დაესწროს ჩვენს ზეიმს!

გათენდა დანიშნული დღე. კოპწიად გამოიყურება სასპორტო მოედანი, დიდიხანია ის ასე მონდომებით არ მოუყვანიათ წესრიგში; კოხტად შემოხაზული ფეხბურთის მოედანი და ამანათრბენის გზები სპორტის მოყვარულთა თვალებს ხიბლავენ უჩვეულო მღელვარებამ მოიცვა ყველა. ბევრ საინტერესოს გვპირდება მრავალფეროვანი პროგრამა.

ათასეული მოწყობილია. მოედნის კუთხიდან გამოჩნდა ქართული სამფეროვანი დროშა. მიდის საპატიო ოცეული. გატრუნული ათასეული ამაყად აცილებს თვალებით საყვარელ დროშას. ქართული დროშის ქვეშ საზეიმო სიტყვებით იხსნება სასპორტო დღე.

სხარტად იკავებენ ადგილებს ფეხბურთელები. გამარჯვებული გუნდი ფინიშზე გავა (სულ ოთხი გუნდია); დრო შეკვეცილია და ეს თავისთავად იწვევს მონდომებულსა და ცოცხალ თამაშს. ფეხბურთის მოჰყვა სხვა ინდივიდუალური შეჯიბრებანი.

სიგრძეზე ხტომაში თავი ისახელა ლეიტ. ფ-შვილმა; სიმაღლეზე ხტომაში მოხ. ჯ-შვილმა, მაყურებლები აღფრთოვანებული რჩებიან, როცა ეს მომცრო ტანის ჰაბუკი ძლივლად უსწრებს მაღალ „მოწინააღმდეგეთ".

ბადროს, ყუმბარისა და შუბის ტყორცნაში ეჯიბრებიან ერთმანეთს კუნთმაგარი ვაჟკაცები.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამანათრბენმა 10 × 400 მეტრზე. 5 ჯგუფი (ათ-ათი კაცი ყოველი ასეულიდან) ჩამწკრივდა სტარტთან. ლამაზია, მშვილდივით მოდრეკილი ვაჟკაცები ნიშანს რომ ელოდებიან; მსაჯები ქრონომეტრით ხელში სმენას და თვალს იმახვილებენ. გაისმა სროლა; ისარივით გაჭრიალდნენ მორბენალნი. წინწაზნექილი მაყურებელი ლამის წამოხტეს და თვითონაც სირბილში ჩაებას.

წყება წყებას მისდევს და მდგომარეობაც იცვლება; რომელი ჯგუფი გაიმარჯვებს? საოცარი სისწრაფით დაწინაურდა ფელდ. გ. და საერთო ტაში დაიმსახურა, თავის ჯგუფს მან მოგების საშუალება მისცა.

ამანათი მიიღო მეათემ თავის ჯგუფში, თითქმის ბავშმა მოხალისე ს-ძემ. გაკვირვებული აღფრთოვანებით შევამჩნიეთ როგორ გადალახა მან მანძილი, დაეწია წინგასწრებულს და რამდენიმე ათეული მეტრით გაუსწრო კიდეც. ქების შეძახილებმა და ტაშმა დაჰფარა მიდამო. გამარჯვებული ჯგუფი ღიმილით ეცხადება თავის ასმეთაურს; წინ ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან გერმანელი ფელდ. გ. და ქართველი მოხ. ს-ძე, მათ უზრუნველჰყვეს თავისი ჯგუფის გამარჯვება; ასმეთაური ლეიტ. ა-შვილი სახელდახელო საჩუქარს ურიგებს გამარჯვებულთ.

გენერლისა და სხვა სტუმრების მოსვლამ გააცხოველა შეჯიბრება.

მალე ისევ ავარდა ბურთი, უკვე მესამედ. ორი გამარჯვებული გუნდი ხვდება ერთმანეთს ათასეულის პირველობისათვის. ელვისებურმა თამაშმა ცოცხლად ჩაიარა. გენერალი მიესალმა გამარჯვებულ გუნდს.

ქართველმა მხედარმა მ-შვილმა შემოაგელვა ცხენი მოედანზე და ჯირითის ლამაზი ნიმუშები გვიჩვენა. ცხენი ველოსიპედმა შეცვალა; მოხ. თ-მ უჩვენა სტუმრებს, რომ ქართველები მარტო ცხენოსნობაში არ არიან ოსტატები...

ანაზდად ყველა გაოცებული დარჩა, როცა მოედანზე საწოლები გამოიტანეს. გაოცებამ იმატა, საწოლებს მებრძოლთა ჯგუფი რომ მიუახლოვდა და ტანისამოსის გახდა დაიწყო. ისინი საცვლის ამარა დაწვნენ, „დაიძინეს"; ესენი იყვნენ დაბრკოლებათა გადალახვაში მონაწილენი. სროლის ხმაზე მათი წამოხტომა და ფაცა-ფუცი უჩვეულო ხალისს იწვევდა მაყურებელში. ბევრის „სიდინჯე ქებულმა" აჯობა; ბევრს „გამობილმა სიჩქარემ" გაუმართლა. ამოცანა ძნელი იყო: სრული აბჯრის ასხმა, სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით, ყუმბარის ტყორცნა მიზანში, ისევ დაბრკოლება, ფინიშთან საბრძოლო მდგომარეობის მიღება და... სროლა.

დღესასწაული სახუმარო სპორტით გათავდა: „ტომრით სირბილმა" და „კვერცხით სირბილმა" ჯანსაღი სიცილი გამოიწვია მოხალისეებში და სტუმრებში.

დღის საზეიმო ხასიათს მეტ სიხალისეს აძლევდა მოწვეული სასულე ორკესტრი და ათასეულის სიმღერისა და ცეკვის ახლადშექმნილი გუნდი.

საღამოს მთელი ათასეული კლუბში შეიკრიბა.

სცენაზე საჩუქრებით სავსე დიდი მაგიდა ბრწყინავს. ათასეულის მეთაური ობერლეიტენანტი მ. და ორდინარცი ოფიცერი ლეიტ. დ-ანი აჯილდოვებენ გამარჯვებულთ სხვადასხვა საჩუქრებით, ჩვენ, მაყურებელნი კი — ოვაციებით.

კმაყოფილნი დავიშალეთ. გენერალმა განაცხადა: გმადლობთ ქართველებო საამოვნებით გატარებული დღისათვის, გისურვებთ ასეთივე ენერგიითა და მონდომებით ჩაგეტარებინოთ სამოსწაველო თვე.

— დიახ, ბატონო გენერალო! ჯარისკაცები, რომლებიც თვეობით კარგად იბრძოდნენ, რომლებმაც სამი დღის განმავლობაში მოამზადეს ეს სასპორტო ზეიმი, სწავლაშიც ისახელებენ თავს.

მოხ. ლ. შ-ია.

გაზ. „საქართველოს" საკუთარი კორესპონდენტი იტალიაში.



საინტერესო თემაზე

ფანქრის ისტორიიდან

ფანქარი იმ სახით, როგორც მას ეხლა ვხედავთ, გაჩნდა მე-18 საუკუნის დასასრულს. მაგრამ, ეჭვგარეშეა, რომ გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე, არსებობდნენ საგნები, რომელთაც იყენებდნენ საწერად და მეტად წააგავდნენ ჩვენი დროის ფანქარს. მაგალითად, რომაელები ხმარობდნენ საწერად და სახაზავად ე. წ. „პრეფიქტალს", რომელიც წარმოადგენდა ტყვიის წვრილ ჩხირს.

არსებული ცნობების თანახმად, მე-16 საუკუნემდე გრაფიტი არ იხმარებოდა როგორც საწერი ნივთიერება. გესნერის წიგნში მინერალების შესახებ, რომელიც 1565 წელს გამოვიდა, უკვე იხსენიება თანამედროვე ფანქრისმაგვარი ნივთი, რომელიც წარმოადგენდა გრაფიტის ჩხირს. ეს ჩხირი ჩაჭედილი იყო ხეში, მაგრამ საწერად იხმარებოდა ძალიან იშვიათად და გესნერი მას იხსენიებს, როგორც კურიოზს.

მე-16 საუკუნეში, ინგლისში აღმოაჩინეს გრაფიტის მდიდარი საბადოები. დაიწყეს გრაფიტის წანაგოვანი ჩხირების მასობრივი დამზადება, რომელთაც შემდეგ ხის ბუდეში სვამდნენ. მაგრამ, ასეთი ფანქრები ჯერ კიდევ ფუფუნების საგნებს წარმოადგენდნენ, ვინაიდან გრაფიტის ჩხირების გამოთლა ერთობ რთული საქმე იყო.

მე-18 საუკუნის დასაწყისში უკვე დაიწყეს დაფხვნილი გრაფიტიდან ფანქრის კეთება. პირველ ხანებში გრაფიტის ფხვნილს ურევდნენ სხვადასხვა შემაკავშირებელ ნივთიერებას — გოგირდს, წებოს, ლუქსა და სხვ. მიღებულ მკვრივ მასას აჭრიდნენ მოგრძო ჩხირებად. ცხადია, ფანქარი გამოდიოდა მდარე ხარისხის, რომელიც კაწრავდა ქაღალდს.

დიდი ხნის განმავლობაში ფანქარს ამზადებდნენ მარტივი წესით. მე-18 საუკუნეში გერმანიაში და საფრანგეთში უკვე გაჩნდნენ მრავალი სახელოსნოები, რომელნიც მუშაობდნენ ფანქრების გაკეთებაზე.

გერმანიაში, ფანქრის წარმოების ცენტრად ძველთაგანვე ქალაქი ნიურნბერგი გადაიქცა, განსაკუთრებით სოფელი შტაინი და მისი მიდამოები. სხვათაშორის, 1761 წელს, ამ სოფელში დაარსდა ფაბერის სახელოსნო. ეს ის ფაბერია, რომლის სახელიც შემდეგში მთელ მსოფლიოს მოედო. მისი შთამომავალნი დღევანდლამდე განაგრძობენ მუშაობას და ფაბერის ფანქრებიც ყველაზე საუკეთესოდ ითვლებიან მთელ მსოფლიოში.

უკანასკნელი ბიჯი ფანქრის წარმოებაში მოხდა 1795 წელს. ფრანგმა ჟაკ კონტემ და ავსტრიელმა იოსებ ჰარტმუთმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოიგონეს ფანქრის დამზადების ახალი წესი. გრაფიტის ფხვნილს მათ შეურიეს თიხა და მიღებული პლასტიკური მასიდან წნეხავდნენ სასურველი ფორმის და სიდიდის ფანქრის ჩხირებსა და ფირფიტებს. ფანქრის წარმოებამ ამ დროიდან დაიწყო სწრაფი განვითარება და ფანქარმაც ძალიან მალე მიიღო ისეთი სახე, როგორიც მას დღეს აქვს. თავისთავად გასაგებია, რომ ფანქრის დამზადება ეხლა სწარმოებს მეტად გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებით.

დასასრულ, საინტერესოა მოვიყვანოთ ფანქრის სახელწოდების საკითხის გარჩევა. სიტყვა „ფანქარი" არ არის ქართული წარმოშობისა, ისევე როგორც სიტყვა „კარანდაში". პირველი — არაბულიდან შემოვიდა საქართველოში, ხოლო მეორე — თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს „შავ ქვას" (ყარა — შავი, დაშ — ქვა). ეს სახელი თურქებმა დაარქვეს საწერ ნივთს, ალბათ რომელიმე ბუნებრივი ნივთიერების სახელწოდებიდან, რომელსაც ისინი ფანქრის გასაკეთებლად ხმარობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ფრანგების შესახებ. ფანქრის ფრანგული სახელწოდებაა — crayon. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი წარმოსდგება craie-დან, რაც ცარცს ნიშნავს. სხვა რომანულ ენებზე ფანქრის სახელწოდება წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან — lapis, რაც ქვას ნიშნავს. მაგალითად, იტალიურ და პორტუგალიურ ენებზე ფანქარს ეწოდება lapis, ესპანურ ენაზე lapuz და ა. შ. გერმანელებმა მას უწოდეს აგრეთვე იმ ნივთიერების სახელი, რომლისაგანაც კეთდებოდა თავდაპირველად საწერი ჩხირები. გერმანულად ფანქარი — Bleistift, ტყვიას ნიშნავს. მხოლოდ ინგლისელებმა უწოდეს ფანქარს ისეთი სახელი, რომელიც გამოხატავს მის დანიშნულებას: pencil, იგივე დროს მხატვრის ფუნჯსაც ნიშნავს.

მოხ. ნ. ტ.

ბერლინის სახელმწიფო სასპორტო მოედანი, რომელიც 100.000 მაყურებელს იტევს.

პატარა ფელეტონი

80 წლის ბებია...

დაიწყო ეს ამბავი ჯერ კიდევ ომამდე. საბჭოთა კავშირში გაჩნდნენ ქალები-ტრამვაის მმართველები, შემდეგ ქალები-ორთქლმავლის მემანქანეები, მფრენები, მფრინავები, აკადემიკოსები, მეზღვაურები. გაზეთები აივსო ცნობებით გამოჩენილი სტახანოველი ქალების შესახებ ქარხნებში, ფაბრიკებში, სოფლის მეურნეობაში და ა. შ. ქალებმა დაიწყეს სახელმწიფოს „მართვა"!...

ეს იყო ომამდე, მაგრამ, აი დაიწყო ომი და მამაკაცები ფრონტზე წავიდნენ. ქალები „არ ჩამორჩნენ" თავიანთ ქმრებს, ძმებს, შვილებსა და შვილიშვილებს და ისინიც გაემართნენ მტერთან საბრძოლველად. უკვე გაჩნდნენ ქალები — წითელარმიელები: მეკავშირეები, სნაიპერები, მესანგრეები, მზვერავები. ქალებმა შესცვალეს მამაკაცები მაღაროებში, ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებში, ხეტყის ჭრა-დამზადებაზე და სხვ.

მაგრამ, ეს კიდევ ცოტაა. ყველაზე უფრო გასაოცარი ცნობა, ჩვენ ამ რამოდენიმე დღის წინათ მოვისმინეთ. „ტასსის" დიქტორმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და მსოფლიოს შემდეგი აუწყა:

57 წლის პარასკევა ივანეს ასულმა ევდოკიმოვამ, ერთერთი სატანკო კორპუსის პოლკის კომისრის ცოლმა, რომლის ქმარიც დაიღუპა ფრონტზე გერმანელებთან შეტაკების დროს, სთხოვა სარდლობას დაერთო ნება „შური ეძია" თავისი ქმრის დაღუპვის გამო. დიქტორმა დაწვრილებით მოგვითხრო, რომ პარასკევამ, სარდლობის დასტურის შემდეგ, მეტად მოკლე ხნის განმავლობაში „აითვისა თანამედროვე სამხედრო ტექნიკა" და ტანკის მმართველის როლში „მიმისხარად" მოევლინა გერმანელებს ფრონტზე. თურმე ნუ იტყვით, იმავე დღეს, ბებია პარასკევამ „გამანადგურებელი იერიში მიიტანა" გერმანელთა „ტიგრების" მთელ კოლონაზე და „გამოიყვანა მწყობრიდან მტრის რამოდენიმე ტანკი". სალამოვამს გმირი პარასკევა მოხვდა მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ. მტრის ერთმა ყუმბარამ დააზიანა მისი ტანკის მუხლუხი, მაგრამ პარასკევასთვის ეს უბრალო საქმეა, „იგი გადმოხტა ტანკიდან, სულ რამოდენიმე წუთში შეაკეთა დაზიანებული მუხლუხი, სათადარიგო ნაწილებით შესცვალა ზოგიერთი დეტალი და განაახლა მტერთან გმირული ბრძოლა".

ძალიან ბევრი გასაოცარი შემთხვევები მომხდარა ისტორიაში, ჩვენ გაგვიგონია წარსული დროების მეომართა რაინდობის შესახებ, წაგვიკითხავს ალექსანდრე მაკედონელის, ნაპოლეონის, სუვოროვის, ერეკლე მეფის, სააკაძისა და სხვათა იშვიათი ვაჟკაცობისა და გულადობის შესახებ, მაგრამ ასეთი ფენომენალური შემთხვევა, როდესაც 60 წლის დედაბერი მტრის ტყვიის სეტყვის ქვეშ ხტოდეს ტანკზე და აკეთებდეს გაწყვეტილ მუხლუხს, ჩვენ ჯერ არ გვსმენია.

კომენტარიები მგონი საჭირო არ არის. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ ერთს. ამის შემდეგ სრულებით აღარ გაგვიკვირდება, რომ „ტასსის" მორიგი გადაცემის დროს საბჭოთა დიქტორმა შემდეგი რამ გაავრცელოს ეთერში:

„ახლადდაბადებული კატერინა კუზნეცოვა მოხალისედ ჩაეწერა წითელ არმიაში და თავისი სიცოცხლის მეექვსე თვეზე ჩამოაგდო გერმანელთა 13 თვითმფრინავი, მოსპო მტრის 25 ტანკი და ტყვედ ჩაიგდო ორი გერმანელი გენერალი. ამისათვის კატერინას ენიჭება საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება და ეძლევა ჯილდოთ ორდენები: სუვოროვის, კუტუზოვის, ლენინის, სტალინის, მიქოიანისა და ა. შ."

მოხ. ნ. ტ.

ნარევი

შიშის ორგვარი შედეგი

ცნობილი მასხარა კოქელინი მეტად თვალსაჩინო იყო იმ გარემოებით, რომ მის ნაკვთებს ცვალებადობა ძალიან აწუხებდა. მას ძველთაგან გაგონილი ჰქონდა, რომ შიშით შეიძლება ადამიანის განკურნება ამ სენისაგან, ამიტომ გადაწყვიტა ემოქმედნა. ერთხელ, როდესაც იგი ბატონთან ერთად ხიდზე გადიოდა, მოულოდნელად ხელი ჰკრა ბატონს და წყალში გადააგდო. კოქელინის ხერხმა გაჭრა და ბატონი ცვებისაგან მართლაც განიკურნა, მაგრამ თვით მასხარას შიშისაგან გული გაუსკდა და გარდაიცვალა, როცა მას თითქოს დასაშინებლად თავის მოკვეთა მიუსაჯეს და კისერზე ხმლის ნაცვლად სველი ტილოს ნაჭერი დაარტყეს.

უძველესი გაზეთი

მსოფლიოში უძველესი გაზეთი დაარსდა ჩინეთში, 400 წელს. ის იწერებოდა ხის ფირფიტებზე და 1.500 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ გამოდიოდა. 1912 წელს, როდესაც მანჯურიის ხელისუფლება გაუქმდა, აკრძალული იქნა ამ უძველესი გაზეთის გამოშვებაც.

შობისზე

როგორც გამორკვეულა, დანიაში შობისხეს თურმე 1811 წლამდე არავინ იცნობდა. იქ ქრისტეს ხე პირველად ერთერთი გერმანელის ოჯახში ნახეს და მისი სილამაზით აღტაცებულებმა, შემოიღეს შობას მისი დადგმა. ეხლა შობისხე თვითეული დანიელის ოჯახში საშობაო დღესასწაულის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

შეამოწმე შენი ცოდნა

კითხვები:

1. რომელ წელს დაარსდა პირველი ქართული სტამბა?
2. რომელ ქალაქს უწოდა თავისი სახელი ცნობილმა მხედართმთავარმა ალექსანდრე მაკედონელმა?
3. როდის გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო?
4. ვის ეკუთვნის ქართული ეროვნული რომანსის „სულიკო" მუსიკა?
5. რომელმა ქართველმა მეცნიერმა აღმოაჩინა ანტიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუში — ალკეოსა და საფოს ნაწერები?

კითხვების პასუხები
№ 46 (123):

1. 7.000 კუნძულისაგან.
2. ფინეთს.
3. 2 ლიტრი.
4. სამხრეთ ამერიკასთან, მაგელანმა. მაგელანის მიწას.
5. 1.033 კილოგრამით.

[illegible] ფოსტა

მოხ. მარტვილელს: შეგვატყობინეთ თქვენი გვარი და სრული ფოსტის ნომერი.

მოხ. მორონს: თქვენი ლექსები სუსტია, არ დაიბეჭდება.

მოხ. წულისკირელს: რედაქციამ მიიღო თქვენი კორესპონდენცია. მისი გამოყენება არ შეგვიძლია, რადგან აღნიშნულ თემაზე საკმაო მასალები იქნა გამოქვეყნებული.

მოხ. ჯომერაძეს: რედაქცია გთხოვთ მომავალშიც მოგვაწოდოთ მასალები თქვენი ნაწილის ცხოვრებიდან კონკრეტული ფაქტების აღნიშვნით.

მოხ. რაზულს: მივიღეთ თქვენს მიერ შედგენილი საჭადრაკო ამოცანა. ვინაიდან ის, ჭადრაკის ამოცანის არცერთ პირობას არ აკმაყოფილებს, მისი გამოყენება არ შეგვიძლია. თუ თქვენ ამ საკითხით დაინტერესებული ხართ, წაიკითხეთ ჩვენი გაზეთის № 44-ში საჭადრაკო ამოცანის გადაწყვეტის წესები.

მოხ. თონა[illegible]: თქვენს კორესპონდენციას დავბეჭდავთ გაზეთის მომავალ ნომერში. გამოგვიგზავნეთ შემდეგშიც ანალოგიური წერილები.

მოხ. შ. ბ—ძეს: თქვენი ნარკვევი „გული ნადირისა" საუკეთესო მასალას წარმოადგენს ჩვენი გაზეთისათვის. დავბეჭდავთ უახლოეს მომავალში. რედაქცია გთხოვთ კიდევ მოგვაწოდოთ კორესპონდენციები თქვენი ნაწილის ცხოვრებიდან.

მცივანა ტრიუმფატორი

ჩერჩილი: [illegible]

გეოგრაფია უძველეს დროში

უძველეს ხალხთა წარმოდგენა სამყაროს აღნაგობისა და კერძოდ დედამიწის შესახებ მეტად მრავალფეროვანი იყო. ამჟამად არსებობს მრავალი მასალა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს შეხედულებანი მცდარი იყო, ვინაიდან სამყაროს მეცნიერული შესწავლა მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში გახდა შესაძლებელი. ამ მცდარ შეხედულებათა ნაწილმა ჩვენ დრომდეც მოაღწია. მაგალითად, ფართო გავრცელება მიიღო შეხედულებამ დედამიწის ბრტყელი ფორმის შესახებ. ძველ ხალხს დედამიწა ბაქანის მსგავსად ჰქონდა წარმოდგენილი. მათი აზრით იგი უძრავად იყო დაკიდებული სივრცეში.

მაგრამ, არსებობს საფუძველი დავუშვათ, რომ ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე იცოდნენ დედამიწის მრგვალი ფორმის შესახებ. მაშინ უკვე ჰქონდათ ბუნდოვანი წარმოდგენა სამყაროს უსასრულობაზე. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი (427-347 წ. წ. ქრისტეს წინ) და მისი მოწაფე არისტოტელი დედამიწას სთვლიდნენ სამყაროს ცენტრად. სამყაროს შესახებ ასეთი წარმოდგენა მეცნიერებაში ცნობილია პტოლემეს სისტემის სახელწოდებით. შემდეგში მას ადგილი დაუთმო კოპერნიკის სისტემამ, რომლის მიხედვით სამყაროს ცენტრად მზე ითვლება.

საინტერესოა, როგორ მიმდინარეობდა ჩვენი დედამიწის ზედაპირის შესწავლა. მე-8 და მე-7 საუკუნეებში ქრისტეს დაბადებამდე სწარმოებს ხმელთაშუა ზღვის მხარის სწრაფი კოლონიზაცია. ხმელთაშუა ზღვა მაშინ შინაგან ზღვად ითვლებოდა, სწარმოებდა გაცხოველებული ვაჭრობა ეგვიპტესთან. ვაჭრები მოგზაურობდნენ ზღვის დასავლეთ ნაპირებზე, ასე რომ ეს ადგილები მაშინ უკვე საკმარისად ცნობილი იყო. რაც შეეხება გიბრალტარის სრუტეს (მაშინ მას „ჰერკულესის ბჯენებს" უწოდებდნენ) და აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკისა და დასავლეთ ევროპის ატლანტიკის სანაპიროებს, ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ საკმარისად შესწავლილი. მხოლოდ იშვიათად თუ ბედავდნენ ამ რაიონებს ფინიკიელი და კართაგენელი ვაჭრები. ეგვიპტის ფარაონმა ნეჰაომ (609-595 წ. წ. ქრისტეს დაბადებამდე) გასცა ბრძანება, რომ 30 თვის განმავლობაში გამოეკვლიათ აფრიკის მთელი ნაპირები. ამ დროს რუკას მეტად საინტერესო მოხაზულობა ჰქონდა. იგი წარმოადგენდა წრეს, რომლის ჩრდილო ნახევარზე გამოხატული იყო ევროპა, ხოლო სამხრეთით — აზია. ცხადია, მატერიკების კონფიგურაციის დეტალები რუკაზე მოცემული არ იყო. ასეთივე სახე ჰქონდა იონელი ფილოსოფოსისა და ბუნებისმეტყველის ანაქსიმანდრეს (611-575 წ. წ.) რუკას. ხმელთაშუა ზღვის შედარებით სწორი მოხაზულობა რუკაზე პირველად გადაიტანა ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ (490-425 წ. წ.), რომელმაც პირადად გამოიკვლია, როგორც აფრიკის, ისე ევროპის ნაპირები. მის რუკაზე ევროპა, აზია და აფრიკა გამოხატული იყო ცალცალკე. ჰეროდოტეს სიკვდილის შემდეგ, მისმა მოწაფეებმა რუკაზე შეიტანეს წითელი ზღვა და კასპიისა. ამ დროისათვის ცნობილი იყო დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 20 მილიონი კვადრატული კილომეტრი, ე. ი. დაახლოებით 13 პროცენტი (დედამიწის მთელი ზედაპირი 150 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აღწევს).

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ (334 წელი) ბევრი რამ შეჰმატა გეოგრაფიულ მეცნიერებას. ბერძნებმა მაშინ გამოიკვლიეს მცირე აზია, პალესტინა, ეგვიპტე (ქალაქი ალექსანდრიის დაფუძნება), ირანი და სხვ. როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელმა მიაღწია ინდოეთს, რომლისაკენაც მიისწრაფოდნენ ყველა ქვეყნის ვაჭრები. „საზღვაო გზა ინდოეთისაკენ" წარმოადგენდა მეცნიერთა კვლევა-ძიების საგანს ჯერ კიდევ [illegible] დროიდან (570-306 წ. წ.).

მაკედონელის შემდეგ გამოჩენილმა ბერძენმა ასტრონომმა, გეოგრაფმა და მათემატიკოსმა პითეამ, 306-300 წლებში იმოგზაურა ჩრდილო ევროპაში. მან შეისწავლა ბრიტანეთი, თულე და ბალტიის [illegible] ქვეყნები. მანვე დაგვიტოვა პირველი ცნობები გერმანთა ტომების არსებობის შესახებ. პითეას აღმოჩენები რუკაზე შეიტანა ცნობილმა ერატოსთენმა.

მეორე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე, ბერძნების გეოგრაფიული ჰორიზონტი 33 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე გაფართოვდა. ამ დროისათვის უკვე აღმოაჩინეს კუნძული ცეილონი (მისი უძველესი სახელწოდებაა — ტაპრობანი) და აზიის მთელი ტერიტორია ჩინეთის საზღვრებამდე. ცოტა უფრო გვიან დაიწყო მოგზაურობა აღმოსავლეთ აზიაში და სამხრეთ აფრიკაში. სწარმოებდა რეგულარული საზღვაო მიმოსვლა მატაბელესა (სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკა) და პალესტინას შორის, 150 წელს ქრისტეს დაბადებამდე. რუკაზე უკვე იყო აღნიშნული სუმატრა, იავა (იაბადიუ) და ჩინეთის დაბლობების სივრცეები, თუმცა აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ამ ქვეყნების კარტოგრაფიულ გამოხატულებაში დაშვებული იყო მთელი რიგი დამახინჯებანი. მასშტაბების შესახებ იმ დროს ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

ამ პერიოდში გამოკვლეული იყო აგრეთვე აფრიკის ცენტრალური ნაწილი ნილოსის ტბამდე (სხვათაშორის, ნილოსის ტბა, მეორედ მხოლოდ 1863 წელს აღმოაჩინეს), გვინეა, კონგო და სხვ.

პტოლემეამ უკვე იცოდა კუნძულ მადაგასკარისა და ავსტრალიის არსებობა. მისი რუკა მოიცავდა 60 მილიონ კვადრატულ კილომეტრს (დედამიწის ზედაპირის 40 პროცენტი).

ჩვენი ერის დასაწყისი აღინიშნა გეოგრაფიული აღმოჩენების შეფერხებით. ეკონომიურმა სიღარიბემ და მოსულით ვაჭრობის შემცირებამ მეტად შეანელა დედამიწის შესწავლის პროცესი. მსოფლიოს რუკა შემცირდა რომის იმპერიის საზღვრებამდე (ორბის რომანუს — რომის მსოფლიო). ხალხთა დიდმა გადასახლებამ და ერების სარწმუნოებრივმა გათიშვამ თითქმის მთლიანად შეაჩერა დედამიწის შესწავლა.

მხოლოდ კომპასის გამოგონების შემდეგ დაიწყო ახალი ერა გეოგრაფიულ მეცნიერებაში, შესაძლებელი გახდა ახალი აღმოჩენები. გეოგრაფიულ რუკაზე თანდათანობით შეივსო არსებული ხარვეზები.

მოხ. ნ. ტ.

მთავარი რედაქტორი
დრ. ჩადუნელი
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.